

**ტერი ბ. ჯორდენი და ლესტერ როუნტრი: (Terry G. Jorden, Lester Rowntree)**

“ადამიანთა მოზაიკა: თემატური შესავალი კულტურის გეოგრაფიაში”

ძირითადი საკითხები, რომლებსაც ავტორები იხილავენ შემდეგია:

- 1) რა არის კულტურის გეოგრაფია – კულტურული გეოგრაფიის არსი;
- 2) ადამიანები დედამიწაზე (დემოგრაფიული რეგიონები, დიფუზია, ადამიანის ეკოლოგია, კულტურული ინტეგრაცია და მოსახლეობის განლაგების თავისებურებები, მოსახლეობის ლანდშაფტი – განსახლების თავისებურებები.);
- 3) სასოფლო-სამეურნეო მსოფლიო (სასოფლო-სამეურნეო რეგიონები; კულტურული დიფუზია, სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია, კულტურული ინტეგრაცია სოფლის მეურნეობაში; სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი)
- 4) პოლიტიკური თავისებურებები (პოლიტიკურ-კულტურის რეგიონები; პოლიტიკური ინოვაციების დიფუზია; პოლიტიკური ეკოლოგია; კულტურული ინტეგრაცია პოლიტიკურ გეოგრაფიაში; პოლიტიკური ლანდშაფტი)
- 5) ენების ბაბილონი (ლინგვისტურ-კულტურული რეგიონები, ლინგვისტური დიფუზია; ლინგვისტური ეკოლოგია; ლინგვისტურ-კულტურული ინტეგრაცია; ლინგვისტური ლანდშაფტები – სახელები სივრცეში)
- 6) რელიგიური რეგიონები (რელიგიურ-კულტურული რეგიონები; რელიგიის დიფუზია; რელიგიური ეკოლოგია; კულტურული ინტეგრაცია რელიგიაში, რელიგიური ლანდშაფტები)
- 7) ხალხური კულტურის გეოგრაფია (რელიგია, დიფუზია, ეკოლოგია, ინტეგრაცია, ლანდშაფტი)
- 8) პოპულარულ კულტურის გეოგრაფია (რელიგია, დიფუზია, ეკოლოგია, ინტეგრაცია, ლანდშაფტი)
- 9) ეთნიკური გეოგრაფია (რეგიონები, დიფუზია და ეთნიკური ჯგუფები, ეკოლოგია და ეთნიკურობა, ინტეგრაცია და ეთნიკურობა, ეთნიკური ლანდშაფტები)

10) ქალაქი დროსა და სივრცეში, ქალაქის წარმოშობა და დიფუზია, საქალაქო ლანდშაფტების ევოლუცია, ეკოლოგია და ქალაქის მდებარეობა, კულტურული ინტეგრაცია საქალაქო გეოგრაფიაში)

11) საქალაქო მოზაიკა (საქალაქო კულტურული რეგიონები; კულტურული დიფუზია ქალაქებში; ქალაქის კულტურული ეკოლოგია; კულტურული ინტეგრაცია და ქალაქის მოდელები; ქალაქის ლანდშაფტები)

12) მრეწველობა და სატრანსპორტო ქსელი (Ways of transportation):

ინდუსტრიული რევოლუციის წარმოშობა და დიფუზია

ინდუსტრიული ეკოლოგია

ინდუსტრიული კომპონენტი კულტურის ინტეგრაციაში

ინდუსტრიული ლანდშაფტები

13) კულტურის გეოგრაფია და გლობალური პრობლემები (A case study approach): პრობლემური მიდგომა (გეოგრაფები და მოსახლეობის გლობალური კრიზისი; გლობალური სასურსათო კრიზისი; გლობალური ენერგეტიკული კრიზისი)

ამრიგად ავტორები კულტურულ-გეოგრაფიულ მიდგომას იყენებენ შემდეგი ტრადიციული საკითხების მიმართ – მოსახლეობა, სოფლის მეურნეობა, პოლიტიკა, ენები, რელიგიები, ხალხური და პოპულარული კულტურა, ეთნიკურობა, ქალაქები, მრეწველობა, გლობალური პრობლემები.

პრაქტიკულად ყველა საკითხი თემატურად არის განხილული. ეს თემები (ან უფრო ზუსტად, კონცეფციები შემდეგია:

- კულტურის რეგიონი;
- კულტურული დიფუზია;
- კულტურული ეკოლოგია
- კულტურული ინტეგრაცია და
- კულტურული ლანდშაფტი.

## იან შჩეპალსკი – კულტურის შესახებ

(იან შჩეპალსკი: სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები (გვ. 38))

ძნელი წარმოსადგენია უფრო მრავალმნიშვნელოვანი და გავრცელებული ტერმინი ვიდრე “კულტურა”. სხვადასხვა მეცნიერებებში, ფილოსოფიაში, ყოველდღიურ მეტყველებაში მას განსხვავებული მნიშვნელობა ეძლევა. არსებობს მისი აღწერილობითი და შეფასებითი გამოყენება. შეფასებითია, როდესაც ადამიანზე ამბობენ რომ ის კულტურულია. მეცნიერებაში აღწერილობითი მეთოდი გამოიყენება – ანუ კულტურას იყენებენ საგნების, მოვლენის, პროცესები გარკვეული კლასების აღსაწერად.

თავიდან სიტყვა **cultura** – ლათინურად ნიშნავდა (მიწის = **agri** “დამუშავებას”). ამ მნიშვნელობით გამოიყენება ბიოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებში (მაგალითად არსებობს ცნებები – “მცენარეების გაკულტურება”, “ბაქტერიების კულტურა”). სხვა მნიშვნელობით “კულტურა” ნიშნავს ადამიანური თვისებებით და ქცევის წესებით გაკეთილშობილებას. მესამე მნიშვნელობა (ადრეულ ფილოსოფიაში) კულტურაში გულისხმობდნენ “ყველაფერს იმას, რაც თავისით არ იზრდება, არამედ შექმნილია ადამიანის მიზანმიმართული აზროვნების და მოქმედების შედეგად” – ამრიგად კულტურა მოიცავს ყველაფერს მატერიალურს და არამატერიალურს, რაც შეუქმნია ადამიანს. ამ გაგებით კულტურას განეკუთვნება ნებისმიერი უმცირესი საგანი, რაც გაუკეთებია კაცს (მაგ. კაჟის იარაღი), ნებისმიერი იდეა რომელიც კაცის ტვინში ჩაისახა და შემდგომში გამოსახულება ჰპოვა საგნის, სიტყვის ნაწერის, ჩანახატისა და სხვა სახით ფაქტობრივად ეს დაყოფა “ბუნებისა” და “კულტურის” შორის საფუძვლად დაედო საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებად დაყოფას (**science and art**).

ხანდახან “კულტურის” ცნებას კიდევ უფრო ავიწროებენ: იგი წარმოადგენს არა ყველაფერს, რაც შეუქმნია ადამიანს, არამედ მისი “უმაღლესი” ქმნილებები – მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, რელიგია, პოლიტიკური და სოციალური იდეები, გაკეთილშობილებული ჩვეულებები.

არსებობს დაყოფა მატერიალურ კულტურად, რომელსაც ხანდახან “ცივილიზაციას” უწოდებენ. ესაა იმ საგნების ერთობლიობა, რომლებიც

ცხოვრების მატერიალურ მოთხოვნილებებს უზრუნველყოფენ – შრომის იარაღები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებები. “სულიერ კულტურად” კი მიიჩნევენ ყველაფერს რაც შექმნილია სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. – ესაა იდეების, ჩვეულებების სიმბოლოების, დაწესებულებების, ინსტიტუტების ერთობლიობა (მაგ.: ქორწინების ინსტიტუტი, ხელისუფლების ინსტიტუტები, სამართალი, ეთიკა, ესთეტიკა და ა.შ.) მაგრამ სინამდვილეში მკაფიო მიჯნა მატერიალურ და სულიერ კულტურებს შორის არ არსებობს: ნათელია, რომ ყველაფერი რაც საგნად იქნა ქცეული ადამიანის მიერ, ადრე იდეის სახით არსებობდა მის ტვინში.

სოციოლოგიაში მიღებულია, რომ კულტურა ესაა ადამიანის საქმიანობის ყველა მატერიალური და არამატერიალური პროდუქტი, ფასეულობა და ქცევის აღიარებული ნორმები, რომლებიც მიღებულია ადამიანთა ერთობის მიერ და გადაეცემა სხვა ერთობებს და მომდევნო თაობებს. ამრიგად, აქ ჩანს, რომ კულტურაში შედის მატერიალური პროდუქტებიც და ფასეულობათა სისტემაც, ქცევის ნორმებიც და მოქმედების სისტემებიც. კულტურის ცნებაში მნიშვნელოვანია ის, რომ არსებობს რაღაც, რაც მიღებულია (ანდა აქვს შანსი, რომ მიღებული იყოს) მთელი სოციალური ჯგუფის მიერ, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა ინდივიდებს ან სოციალურ ჯგუფებს.

საჭირო განვასხვავოთ ერთობის კულტურა კულტურული მემკვიდრეობისაგან, რომელიც შემდგომ თაობას გადაეცემა. ეს უკანასკნელი არის მხოლოდ ის ნაწილი სისტემისა, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას. მაგალითად დღევანდელი მოდა არ შედის კულტურულ მემკვიდრეობაში ანდა მხოლოდ სამუხეუმო ეკსპონატის სახით შედის მასში. მაგალითად ზოგიერთი იდეა, წარმოდგენა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიმუშები, მეცნიერების თეორიები, არქიტექტურის ძეგლები ჩვეულებრივ ხდება ხოლმე კულტურული მემკვიდრეობის საფუძველი. ეს მემკვიდრეობა ძალიან ხშირად იდეალიზაციას განიცდის, ფასეულობათა და სიმბოლოთა წმინდა კომპლექსად, რომელიც ემოციურ დამოკიდებულებას იწვევს და ამდენად ხდება ჯგუფის ინტეგრაციის ფაქტორი, მისი გაერთიანების საშუალება, მისი მარადიულობისა და მდგრადობის ფაქტორი. ჩვენის მხრიდან დავამატებდით, რომ ასეთ კულტურულ მემკვიდრეობის მაგალითად,


ქართველებისათვის არის მართლმადიდებელი ეკლესია, ქართული მწიგნობრობა, თვით ქართველობის იდეა.

როდესაც რომელიმე ერთობის კულტურას ვიკვლევთ, ჩვენ უნდა შევიმუშავოდ ცნებების გარკვეული სისტემა იმისათვის, რათა კულტურის შინაგანი სტრუქტურა გავაანალიზოთ და გამოვიკვლიოთ მისი ფუნქციონირების თავისებურებები ერთობის ცხოვრებაში. ამიტომ, თავიდანვე უნდა გამოვეყოთ კულტურის ზოგიერთი ფართო სფერო, რომელიც შეესატყვისება ინდივიდუალური და ჯგუფური მოთხოვნილებების ცალკეული კომპლექსების დაკმაყოფილებას. ესენია ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის ფორმები; ინსტიტუტები, რომლებიც ერთობლივად ცხოვრებას არეგულირებენ, ისეთები, როგორცაა, სამართალი, სახელმწიფო, ჩვეულებები, ცოდნა და მეცნიერება, იდეოლოგია, ხელოვნება, რელიგია. ნებისმიერი ერთობის კულტურის ანალიზი შეიძლება დავიწყოთ ამ დიდი სფეროების მიმოხილვით.

## კულტურის ცნება

Культура – лат. возделывание, воспитание, образование, развитие, почитание.

**საზოგადოების (ადამინის შემოქმედებითი ძალების და შესაძლებლობების) განვითარების ისტორიულად განპირობებული დონე.**



“კულტურა” [ვიწრო გაგებით – ხალხის სულიერი ცხოვრების სფერო]

შეიცავს საქმიანობის საგნობრივ შედეგებს:

- მანქანები, ნაგებობები, ხელოვნების ნიმუშები
- შემეცნების შედეგები, მორალი, კანონი, უფლებების ნორმები

“კულტურა” შეიძლება იყოს

აღწერილობითი	→	მეცნიერებაში – საგნების, მოვლენების, პროცესების, გარკვეული კლასების აღსაწერად
შეფასებითი	→	ყოველდღიურ მეტყველებაში – შეფარდებითი, კულტურული ადამიანი

**“კულტურის” სამი მნიშვნელობა:**

1. ბიოლოგიური/ სასოფლო-სამეურნეო —————> მცენარეების გაკულტურება,  
ცხოველების მოშინაურება
2. ადამიანური თვისებების და ქცევის წესების გაკეთილშობილება
3. “ყველაფერი ის რაც თავისით არ იზრდება, არამედ შექმნილია ადამიანის მიზანმიმართული აზროვნების და მოქმედების შედეგად”

**“კულტურა” ეხება ორ ძირითად სფეროს:**

მატერიალური კულტურა —————> “ცივილიზაცია”: საგნების ერთობლიობა,  
რომლებიც ცხოვრების მატერიალურ  
მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს  
(შრ. იარაღი, საცხოვრისი, ტანსაცმელი,  
ტრანსპორტი, კომუნიკაციის საშუალებები)

სულიერი კულტურა —————> “ცივილიზაცია”: ცხოვრების სულიერი  
მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად

**მაგრამ არ არსებობს მკაფიო საზღვარი მათ შორის**

## კულტურის გეოგრაფია

კულტურის გეოგრაფია – ტრადიციის შესაბამისად არის სოციალურ ეკონომიკური - საზოგადოებრივი გეოგრაფიის ქვედარგი, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანის კულტურის, როგორც მატერიალურის, ისე არა მატერიალურის, თვისებურებებზე და ურთიერთქმედებაზე, მის კავშირზე ბუნებრივ გარემოსთან დღეისათვის ტერმინი “კულტურული გეოგრაფია” მოიცავს მრავალფეროვან სფეროს, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი აქვს ტრადიციულ მიდგომასთან.

კულტურის გეოგრაფიის ძირითადი ტრადიცია მეოცე საუკუნეში ამერიკული იყო და კულტურის გეოგრაფია, როგორც საგანი უფრო ა.შ.შ.-სა და კანადაში ისწავლებოდა, ვიდრე ევროპის უნივერსიტეტებში (გარდა გერმანიისა). ამერიკულ გეოგრაფიაში დიდხანს დომინირებდა კარლ ზაუერის (Carl Sauer) ნაშრომები, რომლითაც ცნობილი იყო “ბერკლის სკოლა”. ზაუერს აინეტერესებდა ადამიანის ჩარევის შედეგად გამოწვეული ბუნებრივი გარემოს ცვლილებების განსხვავებული შედეგები დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში, კერძოდ მცენარეთა გაკულტურება და ცხოველთა მოშინაურება; მოშინაურებისა და გაკულტურების შედეგების დიფუზია; მეურნეობის ეკოლოგია და ჰიდროსაინჟინრო საქმიანობა, კულტივაციის ტიპები; და ყველა ტიპის ადამიანური ქცევა, რომლის გეოგრაფიულად განსხვავებულ შედეგებსაც ვხედავთ ლანდშაფტებში. ზაუერი ეკოლოგიური პოზიციიდან უდგებოდა დედამიწის გამოყენებას ადამიანის მიერ, თუმცა ის ღრმად აკრიტიკებდა გეოგრაფიულ დეტერმინისმს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ამერიკულ გეოგრაფიაში ამ საუკუნის პირველ ათწლეულებში. თვითონ ზაუერზე გავლენას ახდენდა კულტურის დეტერმინიზმის კონცეფციები, რომლების ფესვებიც შეიძლება ვიპოვნოთ გერმანულ ინტელექტუალურ წყაროებში, კერძოდ ფრიდრიხ რატცელის ბიოლოგიურ საფუძვლებზე აგებულ სტატიებში. კულტურის ზაუერისეულ გაგებაზე დიდი გავლენა მოახდინა აბორიგენული კულტურების ამერიკელი მკვლევარის ანტროპოლოგ ა.ლ. კრუბერის შრომებმა (Kroeber). გერმანული გეოგრაფიიდან მან ისესხა Landscheft-ის კონცეფცია, რომელიც ინგლისურად თარგმნა როგორც Landscape (ლანდშაფტი). მისი კულტურული გეოგრაფიის მეთოდი ჩამოყალიბებული იყო მის სტატიაში “ლანდშაფტის მორფოლოგია” (1925 წ.) თავის შრომაში ამერიკის სამხრეთ-დასავლეთისა და



ესპანური ამერიკის შესახებ ზაუერმა მოახდინა მოდიფიცირება თავისი ადრეული თვალსაზრისისა ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტებს შორის განსხვავებაზე და თავის კულტურულ გეოგრაფიაში ყურადღება გაამახვილა მცენარეთა გაკულტურებაზე და ცხოველების მოშინაურებაზე, ინოვაციების დიფუზიაზე (ანუ სიახლეების გავრცელებაზე), იგი ძირითადად სწავლობდა სასოფლო, ხალხურ საზოგადოებებს რომლებსაც ისტორიული კუთხით უდგებოდა.

თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში ზაუერი შემფოთებით უსვამდა ხაზს, რომ ადამიანის მიერ დედამიწის გამოყენება სულ უფრო დესტრუქციული ხდება: ეს ფაქტობრივად წინ უსწრებს თანამედროვე შემფოთებას გარემოს დეგრადაციის გამო. ამ შემფოთებამ ჰპოვა გამოხატვა, ხოლო ზაუერისეულმა კულტურულმა გეოგრაფიამ აპოთეოსს მიაღწია თომასის რედაქციით ჩიკაგოში 1956 წ. გამოცემულ ფრიად გავლენიან წიგნში “ადამიანის როლი დედამიწის სახის შეცვლაში” (Man's role in changing the face of the Earth). ეს წიგნი ჩაისახა კონფერენციაზე, რომლის სულის ჩამდგმელი იყო კარლ ზაუერი. ამ წიგნის თავები და დისკუსია, რომელიც მის გამოსვლას მოჰყვა, ცხადყოფს კულტურული გეოგრაფიის ზაუერისეული კონცეფციის გაქანებას, მის მისწრაფებას იყოს გლობალური მიდგომა, მაგრამ ამასთანავე აჩვენებს კონცეფციის წინააღმდეგობას თანამედროვე, ურბანისტული ცხოვრების ასპექტებთან. კულტურის გეოგრაფიისადმი ეკოლოგიური მიდგომის მდგომარეობას მოწმობს ის, რომ ბოლო ხანებში ხელახლა გადამოწმდა ის საკითხები, რომლებიც მიმოხილული იყო წიგნში (Man's role in changing the face of the Earth) და გამოქვეყნდა ახალი წიგნი იმავე პრობლემატიკაზე (იხ. Turner - The Earth as transformed by Human nation: global and regional changes in the biosphere over the past 300 years. Cambridge C.U.P 1990). გარდა ამისა ზაუერისეული მიდგომა ისევ დომინირებს ამერიკული უნივერსიტეტების გეოგრაფიული დეპარტამენტების კვლასა და სწავლებაში, განსაკუთრებით დასავლეთ და სამხრეთ ა.შ.შ.-ში.

“კულტურის” ზაუერისეული კონცეფცია თანამედროვე კულტურო-გეოგრაფიის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, ვინაიდან აქ უკენასკნელნი ცდილობენ “დაამიწონ” კულტურის იდეა წარმოებისა და კვლავწარმოების სოციალურ ურთიერთობებამდე. (ასე ფიქრობენ, კოსტროუვი და პიტერ ჯექსონი). მას შემდეგ რაც კულტურის საკითხებს ცენტრალური მნიშვნელობა მიენიჭა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ზოგიერთ მეცნიერს მიეცა

საშუალება გამოეცხადებინა “ახალი კულტურის გეოგრაფია”, რომელიც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ თეორიასთან, ვიდრე ბიოლოგიასთან და ისტორიასთან. ასეთი არის, მაგალითად პიტერ ჯექსონის წიგნი “Maps of meaning: can introduction to social geography, London 1992 (I edition, 1984)”. სინამდვილეში ეს ზაუერის ეკოლოგიასთან პარალელურად უფრო სხვა მიდგომით გამოიყენებოდა და ადრეც შეიმჩნეოდა: 1960-იანი წლებიდან პ. ვაგნერის რედაქციით გამოდიოდა სერია “Foundations in culture geography” (კულტურული გეოგრაფიის საფუძვლები), რომელშიც განხილული იყო ასეთი თემები: კულტურა და კომუნიკაცია: სახლის ფორმების სიმბოლიზმი და ა.შ.შ.-ს კულტურული მრავალფეროვნება. ეს ასახავდა როგორც ბერკლის სკოლის პრობლემატიკას, ისე ნაწილობრივ წინ უსწრებდა “ახალი” კულტურული გეოგრაფიის ამოცანებსაც. იყო სხვა შრომებიც, რომლებიც განიხილავდა, მაგალითად ევროპის ინტელექტუალურ ისტორიას მის კავშირში გარემოსთან ანდა გარემოს მიმართ დამოკიდებულებას ისტორიულ ჭრილში.

მიუხედავად იმისა, რომ მართლაც არსებობს ორი მიდგომის გარდამავალი თემები, მაინც შესაძლებელია მკაფიო გამოჯვანა ბერკლის სკოლასა და კულტურული გეოგრაფიის ზოგიერთი ახალი მიმართულებისა (ამაზე წერდნენ დევიდ სმიტი და პიტერ ჯექსონი 1987 წელს); ბერკლის სკოლის შედარებითმა დაკნინებამ გეოგრაფიაში “რაოდენობრივი რევოლუციის” პერიოდში, რომელიც ცენტრალურ გეოგრაფიულ კონცეფციად მიიჩნევა სივრცეს ნაცვლად გარემოსი, საბოლოოდ გამოიწვია კულტურული და სოციალური გეოგრაფიის დაახლოება. ლინგვისტური თეორიის სერიოზულმა გავლენამ ადამიანის გეოგრაფიაზე მიგვიყვანა უფრო გაძლიერებულ ინტერესამდე კულტურის მიმართ, რომელიც განიხილება როგორც სოციალური მნიშვნელობის დადგენის პროცესი. ახალი კულტურული გეოგრაფია პასუხობს თანამედროვე ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქების “მულტიკულტურალიზმს” (მრავალკულტურულობას) და პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიის მოთხოვნებს რათა ყურადღება მიექცეს “სხვებსაც” ანუ, სხვანაირად განიხილონ ისინი ვინც ტრადიციულად იგნორირებული იყო დასავლეთის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიერ. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მკვლევარები ხაზს უსვამენ კულტურულ თავისთავადობას ყოფილი კოლონიზებული ხალხებისა, ქალებისა, მატერიალურად

ნაკლებ შექმნებულებისა და სხვა უმცირესობებისა, იმ სამყაროში სადაც დომინირებს თეთრკანიანთა, მამაკაცთა და ბურჟუაზიის კულტურა. ახალი კულტურის გეოგრაფია აკრიტიკებს ტრადიციულ შეხედულებას კულტურაზე, როგორც რწმენების, განწყობებისა და მატერიალური საგნების ერთგვაროვან (uniform) და ნორმატიულ ნაკრებზე – ეს მიჩნეულია დომინანტებად (გაბატონებული) ჯგუფის იდეოლოგიად, რომელიც ცდილობს თავისი ჰეგემონიობა მოახვიოს თავს ყველას იმათ, ვისაც “სხვებად” განიხილავს. ამრიგად, კულტურის კონცეფცია, რომელსაც ტრადიციულად იყენებდნენ კულტურო-გეოგრაფები, შეიცვალა “კულტურული პოლიტიკის” თეორიად, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა კულტურული ჯგუფები განუწყვეტელ ბრძოლაში არიან ერთმანეთთან ძალაუფლების მოსაპოვებლად.

“ახალი” კულტურული გეოგრაფია ყურადღებას ამახვილებს წარმომადგენლობის საკითხზე და კულტურული გეოგრაფია დღეს დგას პრობლემის წინაშე (რომელიც ანალოგიურად წარმოიშვა ყველა სოციალურ მეცნიერების წინაშე) – რომელსაც შეიძლება ეწოდოს “რეპრეზენტატულობის [წარმომადგენლობის] კრიზისი”. იგი გამოიხატება იმაში, რომ ნებისმიერი მოთხოვნა წარმოადგენდეს “სხვას” არის პოტენციური უარყოფა “სხვის” თავისთავადობისა და მისი საკუთარი ენის ქონისა.

კიდევ ერთი ასპექტი რეპრეზენტატულობის კრიზისისა არის ის ინტერესი, რომელსაც ზოგიერთი კულტურო-გეოგრაფი იჩენს ეროვნული შეგნების (National Identity) მიმართ. იმ ფაქტის ცნობა, რომ გარემოს, ტერიტორიულ და სხვა გეოგრაფიულ მითებს შეუძლიათ მოახდინონ საგრძნობი გავლენა ალტერნატიული ეროვნული იდეოლოგიების ჩამოყალიბებაზე, ანახლებს კავშირს კულტურულ და პოლიტიკურ გეოგრაფიას შორის. ლანდშაფტის როლის გამოკვლევა “ინგლისელობის” ჩამოყალიბებაში, ანდა ისეთი ლანდშაფტური სახასიათო როლისა, როგორცაა ნიაგარის ჩანჩქერი, ამერიკელთა ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებაში, პრაქტიკულად აღადგენს ახალი გზით, კულტურულ გეოგრაფიის ინტერესს ლანდშაფტისა და გარემოსთან ურთიერთობის მიმართ. რადიკალური ცვლილებები მსოფლიო წესრიგში 1980-იანი წლების ბოლოს, განსაკუთრებით საბჭოთა იმპერიალური სისტემის რღვევა ევრაზიის სივრცეში, აგრეთვე

რელიგიური ფუნდამენტალიზმის გამოცოცხლება, ამ პრობლემებს ანიჭებს ხელახალ მნიშვნელობას და თანამედროვე პირობების შესაბამისად აქცევს მათ.

ცენტრალურობას, რომელიც ამჟამად მიენიჭა კულტურის პრობლემებს გეოგრაფიაში, მიყვება, ერთის მხრივ, კულტურის გეოგრაფიის მძლავრი აღორძინებისაკენ, მეორეს მხრივ კი, ეს იწვევს ერთიანი თეორიის, მეთოდისა და შესასწავლი საკითხების ნუსხის არსებით დაკარგვას ამ მეცნიერულ ქვედარგში. ამ თვალსაზრისით, კულტურის გეოგრაფია ასახავს საერთოდ ადამიანის გეოგრაფიაში მიმდინარე მეტათეორიისა და საფუძვლების დაკარგვის პროცესს: მიუხედავად ამისა, არის ნათელი ნიშნები, რომ კულტურის გეოგრაფია ერთი გეოგრაფიული დროის ერთ-ერთ ცხოველ ნაწილად რჩება, თუმცადა თვითონ ერთიანი კი არა, მრავალწახნაგოვანია: ამის დასტურია კულტურული ეკოლოგიის მიმართ ინტერესის შენარჩუნება ა.შ.შ.-ში, განახლებული ინტერესი გარემოს მიმართ ისტორიულ და თანამედროვე დამოკიდებულებებისა და ქცევისა აგრეთვე მძლავრი ტალღა ეროვნული შეგნების გაძლიერებისა მთელ მსოფლიოში.

## **კულტურის რეგიონი**

კულტურის რეგიონი - არიალი ან რეგიონი, რომელიც უკავია ხალხს, ვისაც რაღაცა საერთო აქვს კულტურის თვალსაზრისით. ესაა სივრცობრივი ერთეული, რომელიც პოლიტიკურად, სოციალურად ან ეკონომიკურად გამოიყოფა როგორც ცალკე ორგანიზმი.

არსებობის **ფორმალური და ფუნქციური** კულტურის რეგიონები.

**კულტურის ფორმალური რეგიონი** - ისეთი ტერიტორიაა რომელიც დასახლებულია ადამიანების მიერ ვისაც ერთი ან მეტი საერთო კულტურული თავისებურება აქვთ. მაგალითად, გერმანულენოვანი რეგიონი, ხორბლის მწარმოებელი კულტურის რეგიონი - ძირითადად ერთი თავისებურებით გამოყოფილი რეგიონებია;

მრავალთვისებურებიანი კულტურის რეგიონები შეიძლება იყოს საერთო ან მსგავსი რელიგიის, ეთნიკურობის, ეკონომიკის მიხედვით გამოყოფილი. მაგალითად

ჩრდილო კავკასიის კულტურის რეგიონი; ა.შ.შ.-ში გამოყოფენ მაგალითად, ნიუ-ინგლანდის, შუა ატლანტიკურ და ქვემო სამხრეთის კულტურის რეგიონებს; ის შეიძლება დაიყოს ქვერეგიონებად,

კულტურის ფორმალური რეგიონები გეოგრაფების მიერ არის შექმნილი და გარკვეულად სუბიექტურია (მაგალითად: თურქები და ბერძნები განსხვავდებიან ენასა და რელიგიაში, მაგრამ გარკვეული მსგავსება აქვთ კულტურული თავისებურებებით; ანდა სომხები და ქართველები). ასეთი რეგიონი უფრო აბსტრაქტულია.

**კულტურის ფუნქციური რეგიონი** ჩვეულებრივ არაა კულტურულად ჰომოგენური, მაგრამ ის არის პოლიტიკურად, სოციალურად ან ეკონომიკურად ორგანიზებული. მაგალითებია: ქალაქი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, საეკლესიო ეპარქია, სასკოლო უბანი. ფუნქციურ რეგიონს აქვს ცენტრალური წერტილები (საკვანძო პუნქტები = node) საიდანაც ამ ფუნქციების კოორდინირება და მართვა ხდება. ასეთი კვანძების მაგალითებია ქალაქის საბჭო, ქვეყნის დედაქალაქი, საარჩევნო უბნის ცენტრი, ქარხნის ოფისი, ბანკი და ა.შ. ყველა კულტურის ფუნქციურ რეგიონს არ აქვს ფიქსირებული საზღვრები. საზღვრებისკენ მისი გავლენა მცირდება (მაგალითია რომელიმე დიდი გაზეთის გავრცელების არეალი, სხვადასხვა ტიპის ლუდის მოხმარების ზონა).

**პერცეფტუალური (აღქმითი) კულტურის რეგიონი** ესეთი რეგიონია, რომელსაც მისი მცხოვრებნი აღიქვამენ სახელის მიხედვით (მაგალითად Dixieland).

### **კულტურული დიფუზია**

კულტურული დიფუზია – ესაა კულტურის ელემენტების გავრცელება მისი წარმოშობის ადგილიდან. კულტურის ელემენტებია: იდეები, სიახლეები (ინოვაციები) და განწყობები. ზოგიერთი ელემენტი მხოლოდ ერთხელ და ერთ ადგილას წარმოიშობა და გეოგრაფმა შეიძლება დაადგინოს ეს ადგილი. სხვა შემთხვევებში ხდებოდა რამდენიმე დამოუკიდებელი აღმოჩენა (მაგალითად ასე ფიქრობენ შვილდისრის შესახებ). არსებობს **გაფართოებითი (expansion)** დიფუზია და **კულტურულ გადაადგილებითი (relocation)** დიფუზია.

**გაფართოებითი დიფუზია** ესაა მოსახლეობაში კულტურის ელემენტების გავრცელების ზვავისებური პროცესი (მაგალითად, რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ვთქვათ სიმინდის გავრცელება ძველ სამყაროში).

**გადაადგილებითი დიფუზია** კი ხდება, როდესაც ინდივიდები ანდა ჯგუფები მიგრაციის შედეგად გადადიან სხვა ადგილზე და იქ გადააქვთ სიახლეები, მაგალითად ასე ვრცელდებოდა უკვე ჩამოყალიბებული რელიგიების უმეტესობა. ასევე ხდებოდა ევროპული კულტურის სხვა ელემენტების გადატანა ჩრდილო ამერიკაში. გაფართოებით დიფუზიას თავის მხრივ აქვს ქვეტიპები, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ **იერარქიული, გადამდები და მასტიმულირებელი დიფუზია**.

**იერარქიული დიფუზიის** პირობებში იდეები “გადახტებიან” ერთი მნიშვნელოვანი პირიდან მეორეზე, ერთი საქალაქო ცენტრიდან მეორე ქალაქში გადადიან და “გამოსტოვებენ” მათ შორის მყოფ ადამიანებს ან სასოფლო სივრცეს. ეს ჩანს მაგალითად, ტანსაცმლის ახალი მოდის თავდაპირველ გავრცელებაში. ასე ხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში.

ამის საპირისპიროდ, **გადამდები დიფუზია** იდეების საერთო გავრცელებაში ვლინდება, პერსონალური კონტაქტი აქ მთავარ როლს ასრულებს.

ხანდახან იდეის ძირითად თავისებურება უარყოფილა, მაგრამ მის საფუძველში მყოფი იდეა მიღებულია – ამას **მასტიმულირებელ დიფუზიას** უწოდებენ. ამის მაგალითად გამოდგება ციმბირის ადრეული კულტურების მიერ პოლარული ირმის მოშინაურება: მათ ეს გააკეთეს, როდესაც გაიგეს, რომ სამხრეთით მოშინაურებულია ძროხა და ცხენი. ციმბირელებს ადრე არ სჭირდებოდათ მოშინაურებული ირმები, მაგრამ იდეა (კონცეფცია) ნასესხები იქნა და ჩრდილოეთის ირმები მოიშინაურეს.

### **კულტურული დიფუზიის მაგალითი**

From: Ralph Linton, The Study of Man. 1936, 1964 (Printree Hall, England, Cliffs, N.Y.)

**100%-იანი ამერიკელი**

“ჩვენ სოლიდარული ამერიკელი მოქალაქე იღვიძებს საწოლში, რომელიც დამზადებული იმ მოდელზე, რაც შეიქმნა სადღაც ახლო აღმოსავლეთში და მოდიფიცირებულ იქნა ჩრდილოეთ ევროპაში. ის გადასწევს საბნის პირს, რომელიც გაკეთებულია ან ბამბის ბოჭკოსგან (ბამბა გააკულტურეს ინდოეთში) ანდა სელისგან (სელი ახლო აღმოსავლეთში იქნა კულტურაში შემოტანილი) ანდა აბრეშუმისგან, რომლის გამოყენებაც პირველად ჩინეთში დაიწვეს. ყველა ეს მასალა მოქსოვილია იმ მეთოდებით, რომელიც გამოიგონეს ახლო აღმოსავლეთში, ხოლო მანქანურად მისი ქსოვა ისწავლეს ინგლისში – XVIII საუკუნეში. ის ფეხზე იცვამს მოკასინებს – ამერიკელ ინდიელთა გამოგონებას და მიდის სააბაზანოში, რომლის მთელი მოწყობილობა შედარებით თანამედროვე – ევროპული და ამერიკული გამოგონებების შერწყმაა. ის იხდის პიჯამოს – ინდოეთში გამოგონილ ტანსაცმელს და იბანს საპნით, რომელიც ძველმა გალებმა გამოიგონეს. შემდეგ ის იპარსავს სახეს – ესაა მაზოხისტური ოპერაცია, რომელიც როგორც ჩანს უკვე ძველ შუმერში იყო მიღებული და შემდეგ ეგვიპტიდან გავრცელდა.

სასაუზმოდ ის მიდის კაფეში (ფრანგული გამოთქმაა) ეთიოპიაში კულტურაში შეყვანილი მცენარისა, რომელიც არაბების მიერ იქნა შეტანილი ევროპაში და რომელიც შემდეგ სამხრეთ ამერიკაში შეიტანეს ევროპელებმა გზად. ის ყიდულობს გაზეთს, რომელიც დაბეჭდილია ქაღალდზე, რომელიც პირველად ჩინელებმა გააკეთეს და იხდის მონეტებით, რომლებიც გამოიგონეს ძველმა ლიდელებმა - მცირე აზიის მკვიდრებმა. კაფეში ის იყენებს თეფშს რომელიც დამზადებულია ფაიფურისგან – ჩინური გამოგონება, ჩანგალს – შუა საუკუნეების იტალიური გამოგონებას, კოვზს – ზუსტად ძველი რომაელების მოდელზე გაკეთებული, დანას, რომელიც დამზადებულია ფოლადისგან – პირველად სამხრეთ ინდოეთში გაკეთებული ლითონიდან.

როდესაც ჩვენი მეგობარი ამთავრებს საუზმეს (რომელიც ან ინგლისური იყო ანდა კონტინენტური ე.ი. ევროპული) ის კითხულობს გაზეთს, რომელიც პირველად ინგლისში გამოუშვეს და რომელიც დაბეჭდილია ასოებით, რომლებიც ინგლისურში შემოვიდა ლათინურიდან, ხოლო თავიდან გამოგონილი იქნა ფინიკიელების მიერ და დაბეჭდილია იმ პროცესით, რომელიც გერმანიაში იქნა გამოგონებული. როდესაც იგი კითხულობს იმ სირთულეების შესახებ, რაც

უცხოელებს აქვთ, იგი ებრაულ ღმერთს (უზუსტობა ბ.წ.) შესწირავს მადლობას. ინდოევროპულ ენაზე, იმისათვის რომ ის ასპროცენტინი ამერიკელი დაიბადა.

## კულტურული ეკოლოგიის თემა

კულტურული ეკოლოგია ეს არის ფიზიკური გარემოსა და ადამიანებს (გაგებულს, როგორც “კულტურის მატარებელი ცხოველები”) შორის რთული ურთიერთობების შესწავლა.

კულტურა ვაკუუმში არ ვითარდება. ის ურთიერთქმედებს გარემოსთან და საჭიროა ამ ურთიერთქმედების შესწავლა, რათა გავიაზროთ სივრცითი ვარიაციები. Oikos ბერძნულად ნიშნავს “სახლს”, “ჰაბიტატს”, Logia-სიტყვებია, ცოდნა. ამრიგად ბერძნული Oikologia ესაა მეცნიერება საცხოვრისის შესახებ, ხოლო კულტურული ეკოლოგია ესაა მეცნიერება კულტურებსა და გარემოს შორის მიზეზ-შედეგობრივი (cause-and effect) კავშირების შესახებ. ფიზიკური გარემო მოიცავს კლიმატს, რელიეფს, ნიადაგებს, ბუნებრივ მცენარეულს, გარეულ ცხოველთა სამყაროს და სხვა.

კულტურულ ეკოლოგიასთან ერთად გამოიყენება ტერმინი ადამიანის ეკოლოგია. ძირითადი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ადამიანის ეკოლოგიას მიიჩნევს უფრო მეტად ორიენტირებულად იმის შესასწავლად, თუ როგორ ახდენენ ადამიანები გარემოს მოდიფიკაციას, მაშინ როცა კულტურული ეკოლოგია ესაა ფიზიკური გარემოს და ადამიანებს შორის ურთიერთქმედების შესწავლა, როდესაც ადამიანები გაგებულა როგორც “კულტურის მატარებელი ცხოველები” (culture-bearing animals). სინამდვილეში ორივე ეს ტერმინი გეოგრაფებს შორის ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება. სხვა ტერმინი, რომელიც ამავე კონტექსტში გვხვდება არის ტერმინი “ეკოსისტემა” – რაც აღნიშნავს ეკოლოგიური სისტემის ფუნქციონირებას, რომელშიც (ეკოლოგიურ სისტემაში) ბიოლოგიური და კულტურული homo sapiens-ები ცხოვრობენ და ურთიერთქმედებენ ფიზიკურ გარემოსთან.

კულტურული ეკოლოგიის თემა არის შეხების წერტილი კულტურის გეოგრაფებსა და ფიზიკურ გეოგრაფებს შორის და ტრადიციულად ქმნიდა ერთ-ერთ



მძლავრ ფოკუსს გეოგრაფიის მეცნიერულ დისციპლინაში. ზოგიერთი გეოგრაფი საერთოდ თვლიდა, რომ “გეოგრაფია ეს კულტურული ეკოლოგიაა”. მართალია ძალიან ცოტა ეთანხმებოდა გეოგრაფიის ასეთ ვიწრო გაგებას, მაგრამ ყველა დაეთანხმება, რომ ადამიანისა და გარემოს რთული ურთიერთობის შესწავლა სერიოზული ამოცანაა პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებისათვის XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე.

კულტურის გეოგრაფებმა კულტურული ეკოლოგიის თემის ირგვლივ სხვადასხვა მიდგომები განავითარეს, რომლებიც ოთხი სკოლის სახით ჩამოყალიბდა. ესენია – გეოგრაფიული (ან გარემოს) დეტერმინიზმი, პოსიბილიზმი, გარემოს აღქმა და ადამიანი, როგორც დედამიწის გარდაქმნელი.

### გეოგრაფიული დეტერმინიზმი

XX საუკუნის I მეოთხედში ბევრი ინგლისურენოვანი გეოგრაფი მხარს უჭერდა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეას, რომელიც ფიზიკურ გარემოს, განსაკუთრებით კლიმატსა და რელიეფს ანიჭებდა გადამწყვეტ როლს სხვადასხვა კულტურის ჩამოყალიბებაში და თვლიდა, რომ კაცობრიობა არის ფიზიკური გარემოს პასიური პროდუქტი. მსგავსი ფიზიკური გარემო მსგავს კულტურებს წარმოშობდა. არსებითად გეოგრაფიული დეტერმინისტები კულტურულ ეკოლოგიას “ცალმხრივი მოძრაობის ქუჩად” მიიჩნევდნენ. დეტერმინისტებს სჯეროდათ, რომ მთიელები, დანაწევრებული რელიეფის წყალობით, განწირულნი იყვნენ ყოფილიყვნენ ტლუები, ჩამორჩენილები, კონსერვატიულები, ფანტასიას მოკლებულნი და თავისუფლების მოყვარულნი (მაგალითად, ელენ სემპლი 1911 წელს წერდა, რომ სწორედ ასეთები არიან შვეიცარლები). უდაბნოს მცხოვრებნი აუცილებლად ერთ ღმერთს უნდა აღიარებდნენ, მაგრამ ტირანთა ხელისუფლების ქვეშ უნდა ცხოვრობდნენ. ზომიერი კლიმატი ხელს უწყობს გამომგონებლობას, შრომისმოყვარეობას და დემოკრატიას, სანაპიროები დიდი ზღვაოსნებისა და მეთევზეების წარმოჩენას უწყობს ხელს. დეტერმინისტებს მაგალითად ინგლისი მოჰყავდათ, რომლის მოწინავე მდგომარეობა (იმ ეპოქაში) მათი აზრით განპირობებული იყო კუნძულოვანი მდგომარეობით, როდესაც ზღვა მეზღვაურთა სიმრავლეს უწყობს ხელს, ხოლო ოპტიმალური კლიმატი – გენიოსებს წარმოშობს ხელისუფლებაში და შრომის მაღალ ეთიკას უწყობს ხელს.

XX საუკუნის მიწურულის პოზიციიდან აშკარად ჩანს, რომ დეტერმინისტები შეფასებაში აჭარბებენ გარემოს როლს ადამიანის კულტურის ჩამოყალიბებაში და საზოგადოების განვითარებაში (მაგალითად, ინგლისელები საკმაოდ ცუდი ზღვაოსნები იყვნენ შუა საუკუნეებამდე, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მისი როლი მსოფლიოში მკვეთრად შემცირდა; მთიელი შვეიცარლები აშკარად ვერ ჩაითვლებიან ჩამორჩენილებად). ეს არ ნიშნავს, რომ გარემოს როლი უმნიშვნელოა და კულტურის გეოგრაფებმა მისი გავლენა არ უნდა შეისწავლონ. უფრო იმაზე უნდა იყოს ღაპარაკი, რომ ფიზიკური გარემო ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის კულტურის ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე და ძალიან იშვიათად თუ არის ერთადერთი დეტერმინანტი ადამიანის საქმიანობისა და რწმენებისა.

### **პოსიბილიზმი**

1930-იანი წლებიდან კულტურულ-გეოგრაფებს შორის გეოგრაფიული დეტერმინიზმი შეცვალა პოსიბილიზმმა, რომელიც არ უარყოფს ფიზიკური გარემოს გავლენის როლს კულტურაზე, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ კულტურული მემკვიდრეობა ყოველ შემთხვევაში იგივე გავლენის მქონეა ადამიანის ქცევაზე, რაც ფიზიკური გარემო (პოსიბილისტების მიხედვით, თვით ადამიანები არიან კულტურის ძირითადი არქიტექტორები, ხოლო ნებისმიერი ფიზიკური გარემო იძლევა მრავალ შესაძლებლობას სხვადასხვა კულტურების განვითარებისათვის). როგორ უყურებენ ადამიანები ტერიტორიას და როგორ სახლდებიან მასზე, დამოკიდებულია იმ არჩევანზე, რომელსაც ადამიანები აკეთებენ იმ შესაძლებლობებს შორის, რომელსაც მათ გარემო სთავაზობთ. ამ არჩევანს წარმართავს კულტურული მემკვიდრეობა, გარემო კი იძლევა როგორც შესაძლებლობას, ისე შეზღუდვასაც. მოკლედ რომ ვთქვათ, კულტურისა და ეკონომიკის ადგილობრივი თავისებურებები არის კულტურაზე დაფუძნებული იმ გადაწყვეტილებების პროდუქტი, რომლებიც მიღებულია გარემოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების ფარგლებში.

ეს პოსიბილისტური თვალსაზრისით საკმაოდ კარგადაა ასახული კულტურული ადაპტაციის კონცეფციაში, რაც ნიშნავს ფიზიკურ გარემოსთან და გარემოს ცვლილებებთან კულტურის გზით ადამიანების არაგენეტიურ,

ხანძლივადიან შეგუებას. ეს შეგუება სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირია, რაც იმას გვიჩვენებს, რომ სწორედ კულტურა ქმნის სივრცით მრავალფეროვნებას.

პოსიბილისტური მიდგომის მაგალითია მარკ ჯეფერსონის სტატია “გამომგონებლობის გეოგრაფიული განაწილება” (Geographical review, 19 (1929), 660-661), სადაც იგი წერს: “ყველა ევროპული საპატენტო განყოფილება იძლევა ინფორმაციას, რომ შევიცარლები გამოგონებათა რაოდენობით ბევრად წინ არიან ... თვით შევიცარლები კი იმას მიაწერენ რელიგიურ დევნას მეზობელ ქვეყნებში XVI-XVII საუკუნეებში, რამაც ათასობით განათლებული ადამიანი აიძულა ეძებნა თავშესაფარი სხვაგან [და იპონა კიდევ ამ მთიან, მიუდგომელ ქვეყანაში]... ნანტის ელიტის გაუქმებამ 1685 წელს 60 ათასი ჰუგენოტი მიიყვანა შევიცარიაში; მათ დაარსეს აბრეშუმის წარმოება ციურისსა და ბერნში, საათების წარმოება – უენეაში. ჰოლანდიაში ესპანელთა ინტოლერანტობამ და შევიცარიის ნეიტრალიტეტმა 30 წლიან ომში კიდევ ბევრი ადამიანური რესურსი შესძინა შევიცარიას”. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უცვლელი ბუნებრივი გარემოსი, სხვადასხვა კულტურის მატარებელმა ჯგუფებმა სულ სხვანაირად აითვისეს იგი და არა პირიქით – არ მოექცნენ გარემოს გავლენის ქვეშ.

### გარემოს პერცეფცია (აღქმა)

მაშინ, როცა პოსიბილიზმი ხედავს კაცობრიობას როგორც ერთსა და იმავე გარემოში სხვადასხვა შესაძლებლობებში არჩევანის მქონეს, გარემოს პერცეფციონისტი (აღმქმელი) მიიჩნევს, რომ ადამიანების არჩევანი დამოკიდებულია უფრო იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი გარემოს, ვიდრე იმაზე, თუ როგორია ტერიტორიის რეალური მდგომარეობა. აღქმა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კულტურის თავისებურებებზე. პერცეფციონისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ აბსოლუტურად ზუსტად აღიქვან თავიანთი გარემო და ამდენად მათი გადაწყვეტილებები რეალობის დამახინჯებაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ დაადგინონ რატომ განვითარდა გარკვეული კულტურის მქონე ჯგუფი საკუთარ ფიზიკურ გარემოში სწორედ ასე, და არა სხვანაირად, გეოგრაფებმა უნდა იცოდნენ არა მარტო ის, თუ რას წარმოადგენს გარემო, არამედ ისიც, თუ რას ფიქრობენ (როგორ აღიქვამენ) ამ გარემოს კულტურული ჯგუფის წევრები.

ყველაზე ნაყოფიერი კვლევა, რაც გარემოს პერცეფციონისტებს შეუსრულებიათ, განხორციელდა რისკის მქონე ბუნების მოვლენებთან (natural hazards) დაკავშირებით (როგორცაა წყალდიდობები, გვალვა და სხვა). სხვადასხვა კულტურის ჯგუფები განსხვავებულად რეაგირებენ ერთსა და იმავე ბუნების მოვლენებთან დაკავშირებით. ზოგჯერ ჯგუფი თვლის, რომ ბუნების მოვლენები არის ღვთის გარდაუვალი ნების გამოხატულება; სხვები ცდილობენ თავიდან აიცილონ ეს მოვლენები ღმერთების გულის მოგებით (მაგ. მსხვერპლთშეწირვით); სხვა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ ამ მოვლენების თავიდან აცილებაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ყველა ეს მიდგომა (განსხვავებული აღქმა) დამახასიათებელი იყო უფრო ადრეული კულტურებისათვის. თანამედროვე დასავლურ კულტურებში ხალხს მიაჩნია, რომ ბუნების მოვლენები და ბუნებრივი კატასტროფები შეიძლება თავიდან აიცილონ, ანდა შეამცირონ ზარალი ტექნოლოგიის გამოყენებით.

პერცეფციონისტების იდეები განსაკუთრებით შთამბეჭდავია, როდესაც ისინი მიგრაციებთან დაკავშირებით გამოიყენება. მაგალითად, დადგინდა, რომ როდესაც ადამიანები გადადიან ერთი გარემოდან მეორეში, მათ ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ, რომ ეს ორივე გარემო უფრო მსგავსია, ვიდრე სინამდვილეშია. მაგალითად, როდესაც ამერიკელი ფერმერები ტენისანი ახალი ინგლისიდან გადასახლდნენ უფრო დასავლეთით, დიდ ვაკეებში, სადაც ჰავა უფრო მშრალია, ისინი ძალიან დიდხანს უშვებდნენ შეცდომებს სოფლის მეურნეობის გაძღოლისას და ვერ ეგუებოდნენ ახალ კლიმატურ პირობებს.

სხვადასხვა კულტურები, როდესაც თავიანთ გარემოს აფასებენ და იყენებენ, გამოდიან სულ სხვადასხვა აღქმიდან: რაც ერთი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი რესურსია, მეორე კულტურის ჯგუფისათვის შეიძლება უსარგებლო ან მავნეც კი იყოს. მაგალითად, ჩრდილო ამერიკელი ინდიელებისათვის, რომლებიც მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ, ტერიტორია ფასობდა, თუ იქ იყო ტყე სავსე კენკრით, ველური ხილით ან ნადირით და იყო კაუი მათი ქვის იარაღისათვის. სასოფლო-სამეურნეო კულტურის მატარებელი ჯგუფები, რომლებიც იქვე დასახლდნენ XVII საუკუნეში, ტყეს უყურებდნენ როგორც მტერს (თუმცა ის ერთდროულად შესის და საშენი მასალის წყარო იყო). მათთვის უფრო ფასობდა მოვაკებული ღია სივრცეები, კარგი ნიადაგი და წყალი. ინდუსტრიული

საზოგადოების კულტურა, რომელიც იმავე ადგილზე წარმოიშვა XIX საუკუნეში, უფრო აფასებდა მიწის ქვეშ არსებულ სასარგებლო წიაღისეულს – ქვანახშირს, მადანს, ნავთობს, გაზს, რომელთაც ადრეული კულტურები საერთოდ არ იცნობდნენ და ამდენად არ აღიქვამდნენ გარემოს ნაწილად.

### **ადამიანი, როგორც დედამიწის გარდაქმნელი (modifier).**

გარკვეული თვალსაზრისით ეს არის გეოგრაფიული დეტერმინიზმის დიამეტრულად საწინააღმდეგო მიდგომა, ვინაიდან ასეთი მიდგომით მომუშავე კულტურის გეოგრაფები ყურადღებას ამახვილებენ ძირითადად იმაზე, თუ როგორ აყალიბებენ ბუნებას ადამიანები.

უკვე ანტიკურ ეპოქაში მეცნიერები ამჩნევდნენ, რომ ადამიანები გავლენას ახდენდნენ თავიანთ გარემოზე და, რომ კაცობრიობა ბუნების გარდაქმნელია. პლატონი, როდესაც მსჯელობდა ნიადაგის ეროზიაზე ათენის გარშემო დაახლოებით 400 წ. ძვ. წ. წუხდა, რომ ერთ დროს ნაყოფიერი მხარე ნიადაგის გარეშე დარჩა. ადამიანის გავლენა ფიზიკურ გარემოზე ამ უკანასკნელის შეცვლას იწვევს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თუ ეს ცვლილებები წინასწარ არაა გათვლილი, მისი ეფექტი შეიძლება უარყოფითი იყოს თვით ადამიანისათვის. კულტურის გეოგრაფები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ბუნებრივი გარემოს მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია კულტურების მიხედვით. მაგალითად, იუდაისტურ-ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად (ბიბლიის მიხედვით) ბუნების გარდაქმნა ღვთის მიერ ბოძებული ნებართვაა, რამდენადაც ღმერთმა ადამიანს მისცა მიწა (“ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა” – წერდა შოთა რუსთაველი) და ადამიანები ღმრთის შემწენი არიან მიწის გარდაქმნაში.

ჩრდილო ამერიკელები (ა.შ.შ.-ის მოსახლეობა) განსაკუთრებით მკაფიოდ გრძნობდნენ ადამიანებს დაპირისპირებულად ბუნებასთან, ხშირად “ომის” მდგომარეობაშიც კი. საბჭოეთის კულტურის ეპოქაში იყო გამოთქმა – “ჩვენ არ უნდა ველოდოთ წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ვალია თვითონ ავიღოთ მისი სიმდიდრე”. ასეთი უტილიტარული მიდგომა საბოლოოდ ბუნების დეგრადაციაში ვლინდება. ზოგიერთი კულტურული ჯგუფი კი უფრო ფრთხილად ეკიდება ბუნებას, ერიდება ბუნების ძალების “განრისხებას”: ბევრი ასეთი კულტურისათვის

(რომლებიც ამჟამად დასავლური ცივილიზაციისაგან შორს დგანან) ადამიანები ბუნების ნაწილია და ჰარმონიაში უნდა იმყოფებოდეს მასთან.

### **კულტურული ინტეგრაციის თემა**

ურთიერთობა ადამიანსა და ბუნებას შორის, ანუ კულტურული ეკოლოგიის თემაა, საერთოდ ტრადიციული გეოგრაფიის დედაბოძია. მაგრამ ადამიანთა მოდგმის სივრცობრივი ვარიაციების ასხნა მოითხოვს კულტურული ფაქტორების მთელი რიგის მოშველიებას. კულტურის გეოგრაფი სცნობს, რომ კულტურის ყველა ასპექტი ურთიერთგადახლართულია, ანუ **ინტეგრირებულია**. სხვანაირად რომ ვთქვათ, კულტურა არის კომპლექსური მთელი და არა დაუკავშირებელი თავისებურებების სერია. კულტურა არის ინტეგრირებული ერთეული, რომლის ყველა ნაწილი ერთმანეთთან (კაუზალურად) მიზეზობრივად არის დაკავშირებული. კულტურული ინტეგრაციის თემა ასახავს გეოგრაფის საქმეში ჩახედულობას, რომ ერთი კულტურული ფენომენის უშუალო შედეგი არის მეორე კულტურული ფენომენი. შეუძლებელია კულტურის ერთი ასპექტის გავრცელებულობის შესწავლა თუ არ შევისწავლით იმავე კულტურის სხვა ასპექტებს, რათა დავადგინოთ როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ინტეგრირებულნი.

მაგალითად, რელიგიურმა რწმენამ შეიძლება მოახდინოს გავლენა ჯგუფის ქცევაზე, არჩევნებზე ხმის მიცემისას, კვებაზე, ვაჭრობის თავისებურებებზე, დასაქმების ტიპებზე, სოციალურ მდგომარეობაზე.

ტრადიციული ინდუიზმი, ყველაზე გავრცელებული სარწმუნოებაა ინდოეთში, ადრე ახდენდა ადამიანების სეგრეგაციას კასტებად (ოფიციალურად ეს პრაქტიკაში აკრძალულია, მაგრამ ფაქტობრივად ინდოეთში ისევ არსებობს კასტობრივი დაყოფა), კასტა კი წინდაწინვე განსაზღვრავს რა პროფესიისა იქნება ადამიანი, რა სოციალური პოზიცია ექნება მას საზოგადოებაში. ისლამი კრძალავს ალოკოპოლის, ნარკოტიკების მოხმარებას, და მკაცრ სასჯელს აწესებს ამ წესის დარღვევისათვის (ირანში, საუდის არაბეთში ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული). იუდაიზმი და ისლამი ღორის ხორცის მოხმარებას კრძალავს, ხოლო ინდოეთში ძროხაა აკრძალული. მართლმორწმუნე

იუდაისტი (ებრაელი) მკაცრად იცავს შაბათს სრულებით არ მუშაობს პარასკევს მზის ჩასვლიდან შაბათს მზის ჩასვლამდე. შესაბამისად განსხვავდება კვების, ვაჭრობის თავისებურებები, დასაქმება. არსებობს მრავალი ფაქტი როდესაც კულტურის ერთი წახნაგი განაპირობებს სხვა წახნაგის წარმოშობას. კულტურული ინტეგრაციის თემა საშუალებას აძლევს გეოგრაფს თვალნათლად დაინახოს თუ როგორ ეხმარება ეს შიდაკულტურული მიზეზობრივი ძალები სივრცობრივი ვარიაციების დადგენაში.

მართლაც კულტურული ინტეგრაციის თემის მეშვეობით გეოგრაფებმა მიაღწიეს დიდი წარმატებებს კულტურის სივრცობრივი ვარიაციების ამხსნელი თეორიების შექმნაში. პარადოქსულად, იმისათვის რომ ავხსნათ როგორ არის კულტურა ინტეგრირებული, გეოგრაფებს უხდებათ კულტურის ელემენტების ცალ-ცალკე განხილვა, კულტურის კაუზალური ფაქტორების განცალკევება. მათ კარგად უწყიან, რომ რეალურ ცხოვრებაში იმდენად ბევრი მიზეზობრივი (კაუზალური) ფაქტორი მოქმედებს, რომ ყველა მათგანის ერთად შესწავლა შეუძლებელია; ამიტომაც ისინი იყენებენ კულტურის შესწავლის გამარტივებულ მეთოდს, რომელსაც **მოდელირება ეწოდება**. განსხვავებით ბუნებისმეტყველებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ლაბორატორიულ პირობებში შეისწავლონ ბევრი მოვლენა კულტურის შემსწავლელ გეოგრაფებს უხდებათ წარმოიდგინონ მოდელური მდგომარეობა, სადაც ცალკეული ფაქტორები იზოლირებულად იქნება შესწავლილი. მაგალითად 1830-იან წლებში გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ჰაინრიხ ფონ თიუნენმა შექმნა იზოლირებული სახელმწიფოს მოდელი. მან იგი წარმოადგინა, როგორც ვაკე, რომელიც გარს აკრავს ცენტრალურ ქალაქს. მან დაუშვა, რომ ნიადაგები და კლიმატი მთელს სახელმწიფოში ერთნაირია და რომ ყველა პირს ვინც ცხოვრობს მოცემულ მანძილზე ქალაქიდან შეუძლია მოიტანოს გასაყიდი საქონელი თანაბარ დროში და თანაბარ ფასად. თიუნენის მიზანი იყო შეექმნა იზოლირებული სახელმწიფოს მოდელი, რათა შეესწავლა ტრანსპორტირების ხარჯებისა და ბაზრამდე მზარდი მანძილის გავლენა სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებაზე. შედეგად მიღებულ იქნა თეორია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო რთულ რეალურ სიტუაციებში. მისი მოდელი დღემდე ღირებულია და გამოიყენება გეოგრაფების მიერ. ანალოგიურ მოდელებს

ქმნიან კულტურის შემსწავლელი გეოგრაფებიც (ამის მაგალითია ტორსტენ ჰაგერსტრანდის კონცეფცია დიფუზიის შესახებ).

მაგრამ კულტურის გეოგრაფთა საგრძნობი, თუ არა უდიდესი ნაწილი ცდილობს ახსნას სივრცობრივი კულტურული ვარიაციები ყოველგვარი მოდელის გარეშე. ისინი განიხილავენ გეოგრაფიას როგორც **იდიოგრაფიულ მეცნიერებას**, ანუ ისეთ მოვლენების შემსწავლელ მეცნიერებას, რომლებიც არასოდეს არიან იდენტური და ამიტომ არ ექვემდებარებიან გენერალიზაციას, რომელიც ესაჭიროება თეორიების ფორმულირებას. მეორეს მხრივ თეორეტიკოსებს სჯერათ, რომ გეოგრაფია **ნომოთეტური მეცნიერებაა**, ანუ კანონ-ჩამოყალიბებული და რომ მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს უნივერსალური პრინციპების აღმოჩენა. ბევრი გეოგრაფი ორივე ამ მიდგომას აფასებს და თვლის რომ ყოველ მათგანს შეუძლია თავისი წვლილის შეტანა მეცნიერებებში.

საფრთხე რომელიც თან სდევს კულტურულ ინტეგრაციას და მოდელირებას ის არის, რომ მათ შეიძლება გეოგრაფები **კულტურულ დეტერმინიზმამდე** მიიყვანოს. ამ უკიდურესი თვალსაზრისით მომხრეები, რომელთაც ეს იდეა გეოგრაფიულ-დეტერმინიზმის საპირისპიროდ განავითარეს, ამტკიცებენ, რომ ბუნებრივი გარემო უმნიშვნელო ფაქტორია კულტურისათვის. კულტურის ნებისმიერი ასპექტი, მათი აზრით, მთლიანად განპირობებულია კულტურის სხვა ასპექტით. თვლიან, რომ ადამიანები და კულტურა იძლევა პასუხს, ყველა სივრცობრივი ვარიაციის ასახსნელად. ადამიანები და კულტურა აქტიური ძალაა; ბუნება-პასიურია და ადვილად დასამორჩილებელი. სინამდვილეში კულტურული დეტერმინიზმი ისევე ცალმხრივია როგორც გეოგრაფიული დეტერმინიზმი.

### **კულტურული ლანდშაფტი**

**კულტურული ლანდშაფტი** არის ხელოვნური ლანდშაფტი, რომელსაც კულტურის მატარებელი ჯგუფები ქმნიან დედამიწაზე განსახლების პროცესში. კულტურებმა გამოკვეთეს თავისი საკუთარი ლანდშაფტები იმ ნედლი მასალიდან, რომელიც მათ დედამიწამ მისცა. ყველა დასახლებულ ტერიტორიას აქვს კულტურული ლანდშაფტი, რომელიც ჩამოყალიბდა ბუნებრივი ლანდშაფტის



გარდაქმნის გზით და ყველა მათგანი ასახავს იმ კულტურას ვინც ეს ახალი ლანდშაფტი შექმნა. ლანდშაფტი კულტურის სარკეა და მასზე (კულტურულ ლანდშაფტზე) დაკვირვებით კულტურის გეოგრაფს შეუძლია ბევრი გაიგოს ადამიანთა იმ ჯგუფის შესახებ, ვინც ეს ლანდშაფტი შექმნა. კულტურების “ვიზუალური ჩანაწერი”, რომელიც ლანდშაფტში იკითხება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთმა კულტურის გეოგრაფმა ლანდშაფტის შესწავლა გეოგრაფიის ცენტრალურ ინტერესად მიიჩნია (ასეთი იყო მაგალითად ბერკლის გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი – კარლ ზაუერი).

რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი კულტურული ლანდშაფტის შესწავლა. ალბათ პასუხის ნაწილია ის, რომ ლანდშაფტი ვიზუალურად ასახავს კაცობრიობის ყველაზე არსებით მოთხოვნებს – საცხოვრებელზე, სურსათზე, ტანსაცმელზე და გართობაზე. კულტურული ლანდშაფტი აგრეთვე ასახავს სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულებას დედამიწის გარდაქმნის მიმართ. გარდა ამისა, კულტურული ლანდშაფტი შეიცავს ძვირფას ინფორმაციას კულტურების წარმოშობის, გავრცელებისა და განვითარების შესახებ (მაგალითად, სამხრეთ ინგლისის ბორცვების თხემებზე ჯერაც შეიძლება დავინახოთ ე.წ. “კულტურულ მინდვრების” კვადრატის ფორმის მქონე ძველი სახნავების კვალი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ 2000 წლის წინ აქ კელტები ცხოვრობდნენ). ასეთი ინტერპრეტაციული ანალიზის შესაძლებლობის გამოა, რომ გეოგრაფებს იზიდავს კულტურულ ლანდშაფტის შესწავლა. თუ სწორედ იქნება შესწავლილი, დღევანდელმა კულტურული ლანდშაფტის ხილულმა მხარემ შეიძლება უკვე უხილავი კულტურის ასპექტები გვაჩვენოს, დღევანდელ მცხოვრებთა მიერ დავიწყებული წარსულის პრაქტიკა დაგვანახოს. ზოგჯერ იმაზეც კი მიგვითითოს, როგორ შეიძლებოდა და შეიძლება უკეთ გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები (მაგალითად, სამხრეთ საქართველოში - მესხეთში, დღემდე შემორჩენილი ტერასისებური ფერდობები ძველი სამიწათმოქმედო კულტურის კვალია, რომელიც პრაქტიკულად მიტოვებული იქნა 1944 წელს, მას შემდეგ რაც აქ მცხოვრები გამუსლიმებული ქართველი-მესხები, ე.წ. “მესხეთელი თურქები” (თურქი მესხები) აქედან გაასახლეს კრემლის ბრძანების თანახმად. შემდგომ მოსული მოსახლეობისათვის ასეთი ტერასირება უცნობი იყო და სათანადოდ ვერ მოუარეს მათ. სხვა მაგალითია, დასავლეთ თურქეთის თამბაქოს პლანტაციები, რომლებიც

აქ დამკვიდრდა XVIII საუკუნიდან და ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობის ძირითადი საქმე გახდა. 1923 წელს ბერძნების გასახლების შემდეგ, ეს პლანტაციები დაკნინდა, მაგრამ საბერძნეთის თამბაქოს მწარმოებელი რაიონებიდან გადმოსახლებულმა თურქმა გლეხებმა, რომელთაც ბერძნებისაგან შეითვისეს ეს კულტურა, ააღორძინეს თამბაქოს პლანტაციები, შემდგომში კი გაფართოებითი კულტურული დიფუზიის წყალობით თამბაქოს მოყვანა სხვა სოფლებშიც დაიწყო.

კულტურული ლანდშაფტი მუდმივად იცვლება დროსა და სივრცეში, თუმცა თანამედროვეები ხშირად ვერ ამჩნევენ ამას.

კულტურული ლანდშაფტის შინაარსი მრავალფეროვანი და რთულია. გეოგრაფიული კვლევა კონცენტრირებულია ლანდშაფტის ძირითად ასპექტზე – დასახლების სისტემა, მიწის დანაწილებისა და გამოყენების თავისებურებები და არქიტექტურა.

დასახლების შესწავლისას კულტურის გეოგრაფები აღწერენ და ახსნიან შენობების, გზების სხვა ნაგებობების განლაგებას და სივრცობრივ თავისებურებებს. მიწის გამოყენების სტრუქტურის შესწავლისას კულტურის გეოგრაფი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ანაწილებენ მიწას ადამიანები თავიანთი ეკონომიკური და სოციალური მიზნებისათვის. დანაწილების კულტურული ასახვა შეიძლება სახელმწიფო ან კორპორაციულ საკუთრებაში მყოფი უზარმაზარი მიწის მასივებში გლეხური მეურნეობის პატარა ნაკვეთების შემოღობვით, კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთში, ქალაქში მჭიდროდ განაშენიანებულ უბანში. მაგალითად, ინგლისის სასოფლო კულტურული ლანდშაფტის ყველაზე თვალშისაცემი ელემენტია ქვის მდგრადი ყორეები რომლებიც მომიჯნავე მიწის ნაკვეთები ერთმანეთისაგან არის გამოყოფილი. ესაა შუასაუკუნებიდან დაწყებული “შემოღობვების” ხილული შედეგი, როდესაც ადრე სათემო მიწა ღია მინდვრების სისტემით კერძო მფლობელობაში უმტკიცდებოდა ცალკეულ პირებს, რომლებსაც შეეძლო თვითონ აერჩია სოფლის მეურნეობის დარგი (ჩვეულებრივ შემოღობვას თან სდევდა მიწათმოქმედებიდან, მაგალითად ქერის მოყვანიდან მეცხოველეობაზე, ძირითადად ნაზმატყლიან მეცხვარეობაზე გადასვლას, რომელიც ბევრად უფრო მომგებიანი იყო საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამის საპირისპიროდ სამხრეთ რუსეთის უზარმაზარი

შემოუღობავი ნაკვეთები ერთგვაროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურით, ძირითადად მაჩვენებელია აქ საბჭოთა პერიოდში ჩატარებული მიწის ნაციონალიზაციისა, როდესაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები “ზემოდან დაშვებული” გეგმის შესაბამისად აწარმოებდნენ მასობრივად პროდუქციას. საქართველოშიც კი, როლმლის მთაგორიანი რელიეფი ნაკვეთების მცირეკონტურიანობას უწყობს ხელს, 1930-იანი წლების კოლექტივიზაციის პერიოდიდან ნაკვეთების გამასივებით გამოირჩეოდა და იშვიათი იყო ადგილობრივი მასშტაბით დიდი ვენახების ზვრების გაშენება (გავისხენოდ ტიცთან ტაბიძე – “ნეტავ სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი?”) მაგრამ 1990-იანი წლების შუაგულიდან დაწყებული პრივატიზაციის პროცესი თანდათანობით ცვლის, მიწის დანაწილებას და გამოყენების სისტემას, რაც დაეტყობა სასოფლო რაიონების კულტურულ ლანდშაფტებს. ყველაზე კარგი საშუალებაა დავაკვირდეთ დასახლებისა და მიწის გამოყენების ნახაზს, თვითფრინავის ან შვეულმფრენის სარკმელიდან.

როგორც ჩანს, ადამიანური ლანდშაფტის არცერთი ასპექტი ისე კარგად არ ჩანს მიწის ზედაპირიდან, როგორც არქიტექტურული სტილი. შენობები ყველაზე კარგად მიგვითითებენ განსხვავებულ კულტურებზე; მაგალითად ტრადიციული სატაძრო არქიტექტურა დასავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ აზიაში და იაპონიაში, მკვეთრად განსხვავდება: საკმარისია დავინახოთ მინარეთი, რომ მივხვდეთ იმ უბანში მუსლიმური კულტურაა გავრცელებული (ანდა ის როდესაც იგი აიგო). ესპანური ბაროკოს სტილში ნაგები ეკლესია, ლათინური ამერიკის კათოლიკურ კულტურის უტყუარი ნიშანია. ნიუ-იორკის ცათამბრჯენების ლანდშაფტი მკვეთრად განსხვავდება ამერიკული ქალაქის გარეუბნისგან სადაც ერთსართულიანი სახლები შემოუღობავ ეზოებში დგანან. კულტურის გეოგრაფები გარკვეულად განასხვავებენ **ხალხურ არქიტექტურას** (მაგალითად, სასოფლო სახლებს, რომლებიც ტრადიციული სტილითაა აგებული და ხშირად ათასწლოვან ტრადიციას ეყრდნობა) და **პროფესიულ არქიტექტურას**. ამ უკანასკნელშიც არის კულტურული განსხვავებები, რომლებიც სივრცობრივად ვლინდება (მაგალითად, იგივე ნიუ-იორკის და ყოფილი საბჭოთა ქალაქების მასივები მაღალი განაშენიანობით, სადაც განსხვავებულია როგორც გეგმარება ასევე სახლების ტიპი).

სხვასახვა ტიპის სახლებში ცხოვრება თვითონ ქმნის განსაკუთრებულ კულტურას: მაგალითად, მრავალსართულიან სახლებში იზოლირებული ბინებით მეზობლებს შორის კონტაქტი ძალიან სუსტია, სოციალიზაცია ძირითადად ხდება სკოლის, სამუშაო ადგილის დონეზე, პირიქით დაბალსართულიანი გარეუბნის ტიპის განაშენიანება მეტ მეზობლურ კონტაქტებს უწყობს ხელს, სადაც კულტურული დიფუზია უფრო ადვილია.

### კულტურული ლანდშაფტი დროში

იმანუელ კანტმა, XVIII საუკუნის (1724-1804) სახელგანთქმულმა მეცნიერმა მკვეთრი მიჯნა გაავლო ისტორიასა და გეოგრაფიას შორის: მან ჩათვალა რომ გეოგრაფია ესაა მსგავსებისა და განსხვავებების შესწავლა სხვადასხვა ადგილებს შორის; გეოგრაფებს აინტერესებთ განსხვავება სივრცეში, ისტორიკოსებს – განსხვავება დროში. სინამდვილეში მიჯნა ასეთი მკვეთრი არაა. კულტურული თვისებების სივრცობრივი განაწილება დროში მომხდარი ცვლილებების შედეგია, ამდენად კულტურის გეოგრაფები ყოველთვის სწავლობდნენ სივრცობრივ თავისებურებების წარმოშობას დროის განმავლობაში. კულტურული ლანდშაფტები ხშირად არის ხოლმე ადამიანის საუკუნოვანი საქმიანობის შედეგი. ეკოლოგიური გადაწყვეტილებები, რომელთაც ადამიანები ღებულობენ, ფესვგადგმულია გარემოსთან წარსულ ურთიერთობებში, ხოლო კულტურული დიფუზია უკვე თავისი ბუნებით გარკვეული დროის განმავლობაში უნდა ხდებოდეს. კულტურა დროში განვითარების შედეგია და მისი შესწავლა დროითი განზომილების გარეშე შეუძლებელია.

კულტურული ლანდშაფტი ამ თვალსაზრისის ილუსტრაციაა. ბევრი რამ, რაც ანჯამად თვალში გვხვდება მომდინარეობს დღეისთვის გამჭრალი ფაქტორებითა და გარემოებებით. ამაში დავრწმუნდებით, თუ დიდ ქალაქში გავივლით. როგორც ძველ ქალაქებში, რომელთაც არქეოლოგები თხრიან და სადაც კულტურული ფენები ერთმანეთზეა დალაგებული აქაც შეიძლება ვნახოთ ქალაქი ქალაქზე, ქალაქი ქალაქში. ასე მაგალითად თბილისის ცენტრში ის რაც ადრე სავაჭრო დაწესებულება იყო ამჟამად შეიძლება ოფისად გამოიყენებოდეს. სოლოლაკში XIX საუკუნის დიდი კერძო ბინები, რომლებიც “კულაკებმა” თავისი ოჯახის

საჭიროებისათვის აიშენეს, როგორც უცხოეთის შემდგომ დანაწევრდა მრავალ ოჯახზე და “კომუნალური ბინები” წარმოიშვა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ შეცვალა ზოგიერთი უბნის ფუნქცია და მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა (მაგალითად ი. ჭავჭავაძის გამზირზე, რომელიც მთავარ სავაჭრო არტერიად იქცევა, მაშინ როცა თავიდან მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქცია ჰქონდა).

ტოლერანტობაზე: (იხ. M. Вебер, Избранные)

“ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ კიდევ ერთხელ საზი გავესვათ, რომ ზოგჯერ გაუღებელი მოსაზრება, თითქოს ტოლერანტობამ (შემწყნარებლობა), როგორც ასეთმა, შექმნა ხელსაყრელი პირობები კაპიტალიზმის განვითარებისათვის, სრულებით არ შეესატყვისება სინამდვილეს. რჯულშემწყნარებლობა – არაა სპეციფიკურად თანამედროვე და სპეციფიკურად დასავლური მოვლენა. პირიქით ჩინეთში, ინდოეთში, ელინიზმის პერიოდის წინააზიურ იმპერიებში, რომის იმპერიაში, ისლამის ქვეყნებში რჯულშემწყნარებლობა დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდა (და იზღუდებოდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით, რაც ჩვენს დროშიც ხდება ხოლმე). აღმოსავლეთში და რომის იმპერიაში რჯულშემწყნარებლობა მეტ სიღრმეს აღწევდა ვიდრე XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც პურიტანიზმი ბატონობდა, მაგალითად ჰოლანდიაში (ზელანდიაში) მისი უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, პურიტანულ ინგლისში და ახალ ინგლისში (ჩრდილოეთ ამერიკაში), დასავლეთისთვის, როგორც რეფორმაციამდე, ისე მის შემდეგ, უფრო დამახასიათებელი იყო კონფესიური არა შემწყნარებლობა (ისევე, როგორც მაგალითად სასანური ირანისათვის). იგივე ინტელორანტობა ცალკეულ პერიოდებში არსებობდა ისეთ ქვეყნებშიც როგორცაა ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, მაგრამ იქ ის უმეტესწილად პოლიტიკურ მოტივებთან იყო დაკავშირებული. ამგვარად ტოლერანტობა (შემწყნარებლობა) როგორც ასეთი არავითარ შემთხვევაში არ არის დაკავშირებული კაპიტალიზმთან. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული ვისთვის არის ის სასარგებლო” (Max Weber)

ამასთან ერთად ვებერი წერს: (გვ. 232)

“დასავლეთში ტოლერანტობის ძირითადი ისტორიული წყაროები იყო (თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ჰუმანისტურ განმანათლებლურ ინდეფერენტიზმს,

რომელმაც დიდი პრაქტიკული გავლენა ვერ მოახდინა მასზე): 1) წმინდა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოსაზრებები (არგენტინა ვილიამ III ირანელი ინგლისში) 2) პურიტანიზმი (არგენტინა ამსტერდამი და სხვა ქალაქების რიგი, აგრეთვე სხვადასხვა მემამულეები და მფლობელები რომლებიც სიამოვნებით ღებულობდნენ სექტანტებს, ვისაც ეკონომიკური პროგრესისათვის შეეძლოთ ხელი შეეწყოთ) 3) რადიკალური მიმდინარეობა კალვინისტურ რწმენაში (მაგალითად, ინდეპენტები - ინგლისში). 4) ბაპტისტური სექტები, რომლებიც იცავდნენ იმ პრინციპებს, რომ საეკლესიო თემები დაშვებულ უნდა იქნენ მხოლოდ აღორძინებულნი და ამიტომ ებრძოდნენ ეკლესიის დოგმატიკას.

### **სოფლის მეურნეობის რეზიონანსი**

სოფლის მეურნეობა ადამიანთა საქმიანობის უძველესი სფეროა, შესაბამისად საკმაოდ მრავალფეროვანია სხვადასხვა კულტურების გავლენა ბუნებრივ ლანშაფტზე და მიწის გამოყენების თავისებურებებზე.

### **ცვლადი კულტივაცია**

მიწის დამუშავების ეს სტილი ძირითადად ტროპიკულ სარტყელშია გავრცელებული. პრიმიტიული იარაღის გამოყენებით გლეხები კაფავენ ტყის ზონებს, შემდეგ გამხმარი მცენარეები იწვება და ნიადაგი კულტივაციისთვის მზადდება. ასეთ ნაკვეთებზე სხვადასხვა კულტურები ითესება, დაბალი და მაღალი მცენარეები ერთმანეთს ენაცვლება. აქ არ ხდება რაიმე სასუქების გამოყენება და მიწის დამუშავება მოსავლის აღებამდე. ასეთ ტიპის სავარგულები როგორც წესი 4-5 წლის მანძილზე გამოიყენება, ვიდრე მიწის სრულ გამოფიტვამდე. შემდეგ გლეხები გადადიან ახალი მასივების ათვისებაზე, და ამით ასვენებენ ძველ ნაკვეთებს, რომელსაც დაახლოებით 20 წლის შემდეგ უბრუნდებიან. მოსავალი მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის გამოიყენება და კომერციული დატვირთვა არა აქვს.

მეცხოველობა ასეთ კულტურებში ძალზედ სუსტადაა განვითარებული და ხალხი ძირითადად მეთევზეობას ან მონადირეობას ეწევა.

## რელიმენტური-მკვიდრი კულტივაცია

ესეც, ტროპიკულ სარტყელში, მიწის დამუშავების ტრადიციული ფორმაა, რომელიც ძირითადად გავრცელებულია ტროპიკების მთიანეთსა და მდინარეების ხეობებში. ცვლადი კულტივაციისაგან ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია ის, რომ მიწის ნაკვეთები უფრო ორგანიზებული და მუდმივია. აქ მესაქონლეობაცაა განვითარებული. მოსახლეობა უფრო მჭიდროდაა დასახლებული, რაც ინტენსიური სოფლის მეურნეობის შედეგია. მიწის დამუშავება აქ ძირითადად კაცები მისდევენ (ცვლადი კულტივაციის პირობებში ძირითად მუშა ხელს ქალები წარმოადგენენ). თუმცა შინაარსით ეს ტიპიც პრიმიტიულია (ნატურალური).

## პლანტაციური სოფლის მეურნეობა

ტროპიკული სარტყლის გარკვეულ ზონებში ევროპულმა და ამერიკის კოლონიალურმა კულტურებმა ჩამოაყალიბეს საბაზრო ორიენტაციის სოფლის მეურნეობის სისტემა. პლანტაცია არის დიდი სასოფლო სამეურნეო სავარგული, რომელზეც ერთი ტროპიკული ან სუბტროპიკული კულტურის მოყვანა ხდება, კომერციული მიზნით. იგი დიდი რაოდენობის მუშა ხელს საჭიროებს, უახლოეს წარსულში ძირითადად მონების ხარჯზე. ადამიანები, როგორც წესი პლანტაციების ტერიტორიაზე ცხოვრობენ და აშკარაა სოციალური ჯგუფების მკვეთრი სეგრეგაცია დაბალი (მუშები) და მაღალი (მენეჯერები, მეპატრონეები) კლასების მიხედვით.

პლანტაციების უმეტესობა ზღვისპირა ზოლშია კონცენტრირებული, სატრანსპორტო დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით, ვინაიდან წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი ექსპორტზე გადის. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პლანტაციურ სოფლის მეურნეობას საფუძველი XV საუკუნეში ჩაუყარეს პორტუგალიელებმა, ტროპიკული აფრიკის დასავლეთ კუნძულებზე. ამჟამად პლანტაციების უმეტესობა ამერიკის ტროპიკულ სარტყელშია გაშლილი.

ტროპიკულ ზონებში ხდება პლანტაციური მასივების სპეციალიზაცია ერთ კულტურაზე (მაგ. ჩაი, ყავა, რომელიმე ტროპიკული ხილის კულტურა ან

ტექნიკური კულტურა). უმეტეს შემთხვევაში აქვე ხდება ამ კულტურების გადამუშავება.

მიხნეულია, რომ სწორედ პლანტაციურმა სოფლის მეურნეობამ შექმნა საფუძველი ევროპული და შემდგომ ამერიკული კაპიტალის ექსპანსიას აზიაში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში.

### **ხმელთაშუაზღვიური სოფლის მეურნეობა**

ანტიკურ პერიოდში, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზონაში ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის აბსოლუტურად განსხვავებული ტიპი, რომელიც აქამდე ინარჩუნებს თვითმყოფად სახეს. ამ რეგიონის ტრადიციული კულტურებია ხორბალი და ქერი – ზამთრის წვიმიან სეზონებში; გვალვავამძლე ყურძენი, ზეთისხილი და ლეღვი; აგრეთვე გავრცელებულია მცირე მეცხოველეობა (ცხვარი, თხა, ღორი). უკანასკნელ პერიოდში საირიგაციო სისტემების განვითარების შედეგად მოყავთ ციტრუსები.

აქ პრაქტიკულად არ იყენებენ ბუნებრივ სასუქებს და გამწვევ პირუტყვს. მაღალმთიანი რეგიონები და ციცაბო ფერდობები კოლექტიური საძოვრებისათვის გამოიყენება, მაშინ როდესაც მთისპირა ზონები და დაბლობები ვენახებს, ბაღებსა და მინდვრებს უკავია. იმის გამო რომ არ ხდება მიწის ხელოვნური განაყოფიერება, ხორბლის მინდვრებს წელიწადგამოშვებით ამუშავებენ.

თითოეული ფერმერი შეიძლება მისდევდეს როგორც მარცვლეულის მოყვანას, ისე მებაღეობასა და მეცხოველეობას. ასეთი დივესიფიკაციის შედეგად თითოეულ ოჯახს აქვს არსებობისათვის აუცილებელი პრაქტიკულად ყველა პროდუქტი: პური, სასმელი, ხილი, ხორცი, რძის პროდუქტი, მატყლი და ტყავი.

დაახლოებით XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ხმელთაშუაზღვიურმა სოფლის მეურნეობამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ტრადიციული დივერსიფიცირებული ტიპიდან, კომერციული მებაღეობის რეგიონად ჩამოყალიბდა.

### **კომერციული მებაღეობა**

ბოლო საუკუნეებში საქალაქო ცენტრებისა და ბაზრების განვითარებამ, კომერციული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახეს შეუწყო ხელი. ამის ერთ-



ერთი მაგალითია კომერციული მებაღეობა. ეს არის ინტენსიური სოფლის მეურნეობის ტიპი, სადაც თითოეული ფერმის სპეციალიზაცია ხდება რომელიმე კონკრეტულ კულტურაზე (ხილი, ბოსტნეული). აქ ძირითადად მოჰყავთ სუფრის ყურძენი, საღვინე ჯიშები, საქიშმიშე ყურძენი, ფორთოხალი, ვაშლი, ლატუკი და კარტოფილი. აქ პრაქტიკულად გამორიცხულია მეცხოველეობა. ფერმები კოოპერატიული საბაზრო ორიენტაციისაა, სადაც მუშახელს ძირითადად სეზონური მიგრანტები წარმოადგენენ. პროდუქცია შემოსავლის მიღების მიზნით მოჰყავთ.

კომერციული მებაღეობა ინდუსტრიული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი და საქალაქო ზონების მახლობლადაა განლაგებული. მაგ. აშშ-ში ასეთი ზონა გაჭიმულია კალიფორნიიდან სამხრეთით, მექსიკის ყურისსაკენ და ატლანტის ოკეანისპირა აღმოსავლეთი შტატებისაკენ.

### კომერციული მემარცვლეობა

ეს არის საბაზრო სოფლის მეურნეობის კიდევ ერთი ტიპი, სადაც დომინანტი კულტურებია ხორბალი ბრინჯი და სიმინდი. ხორბლის მწარმოებელი უდიდესი რეგიონები გადაჭიმულია ავსტრალიაზე, ჩრდილო ამერიკის კონტინენტალურ ზონაზე, რუსეთის სტეპებსა და არგენტინის პამპასებზე. მსოფლიოს ხორბლის წარმოების 45% მოდის კანადაზე, აშშ-ზე რუსეთზე. ეს არის სოფლის მეურნეობის ექსტენსიური ტიპი, სავარგულები საკმაოდ დიდია, მათი ფართობები მერყეობს 400 ჰექტარიდან (აშშ-ს კერძო ფერმები) - 40,000 ჰექტარამდე (საბჭოთა კოლმეურნეობები).

მემარცვლეობა, სოფლის მეურნეობის დარგია, სადაც ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება ტექნიკა, იგი ყველაზე მექანიზირებულია. უკანასკნელი პერიოდის ტენდენციების მიხედვით დიდი სავარგულების მეპარტონები არ არიან მიწასთან მიბმულები, ისინი ხშირ შემთხვევაში ცხოვრობენ გაცილებით შორს, საქალაქო აგლომერაციებში. მარცვლეული კულტურები აგრობიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალია.

### პოლიტიკური ეკოლოგია

კულტურის პოლიტიკური რეგიონები ვაკუუმში არ იქმნება და არც პოლიტიკური იდეების გავრცელებაა წარმოსადგენი კონკრეტულ სივცესთან და ტერიტორიასთან კავშირის გარეშე.

### **ხალხური ციხესიმაგრეები (Folk fortresses)**

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამდე, საჰაერო სივრცის ათვისებამდე და სამხედრო-საჰაერო ძალების არსებობამდე. სახელმწიფოების უსართხოებას და სტაბილურობას, ზოგ შემთხვევაში გარემომცველი ბუნებრივი პირობები უზრუნველყოფდა. მათა სისტემები და ღრმა ხეობები; უდაბნოები და ზღვები; ჭაობები ან ტყის მასივები წარმოადგენდა ბუნებრივ ზღუდეებს, მტერთა შემოჭრებისაგან, რასაც პოლიტიკურ გეოგრაფიაში **“ხალხურ ციხესიმაგრეებს”** უწოდებენ. ხშირ შემთხვევაში “ხალხური ციხესიმაგრეები” ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების დაცვის ან ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების წინაპირობა იყო. ბრიტანეთის კუნძულოვანი მდებარეობა და ზღვა, თავდაცვის კარგ საშუალებას წარმოადგენდა უკანასკნელი 900 წლის მანძილზე. ეგვიპტის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაშლილმა დიდმა უდაბნომ, ნილოსის აუზში ცივილიზაციის განვითარებას შეუწყო ხელი. ნიდელანდები ტრადიციულად დაცული იყო დაჭაობებული დაბლობებით, თუმცა ეს თავისთავად წარმოადგენდა ქვეყნის დატბორვის საფრთხეს. საუკუნეების მანძილზე რუსეთის ბუნებრივი დაცვა, იყო ტყის მასივები, დაჭაობებული ტერიტორიები, მკაცრი ზამთარი და დიდი მანძილები.

ქვეყნებმა, რომელთაც არ გააჩნდა თავდაცვის მსგავსი ბუნებრივი საშუალებები, საკმაოდ დიდი ისტორიული წნეხი განიცადეს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. კორეა, რომელიც ჩინეთსა და იაპონიას შორის სახმელეთო ხიდს წარმოადგენს, იშვიათად იყო დამოუკიდებელი და გამთლიანებული, ვინაიდან მუდმივად ორი ქვეყნის კონფლიქტში იყო ჩართული. პოლონეთი, რომელიც აღმსავლეთ ევროპის ვაკეზე მდებარეობს ხშირად იყო დაქსაქსული და დარბეული მეზობლების მიერ.

### **ლანდშაფტის თავისებურებები**

“ხალხური ციხესიმაგრეების” კონცეპციის მსგავსია ლანდშაფტის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში. **ხელსაყრელი მდებარეობისაა** სახელმწიფო,

რომელიც საზღვრებთან გარშემორტყმულია მთებითა და მაღლობებით, ხოლო ცენტრალურ ნაწილში ვაკეებითაა წარმოდგენილი. ასეთი ტერიტორიული მდებარეობა არა მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ ქმნის ქვეყნის მთლიანობისა და ეროვნული ერთობის ბუნებრივ წინაპირობას. ცოტაოდნე ქვეყანას აქვს ასეთი ხელსაყრელი მდებარეობა – მათ შორის საფრანგეთს, რომლის ბუნებრივ საზღვრებს ალპების, პირენეების, არდენისა და იურას მთები წარმოადგენს, ხოლო ცენტრალური ნაწილი კი ნაყოფიერ ვაკე ტერიტორიებს შეადგენს. მაგალითად მდინარე არც თუ ისეთ საიმედო ბუნებრივი საზღვარია. მდინარეების ნაყოფიერი ხეობები მჭიდროდაა დასახლებული, თანაც მდინარე ხშირად იცვლის კალაპოტს და ხშირად ხდება კონფლიქტები ორ ნაპირზე მცხოვრებ კულტურებს შორის.

ბუნებრივი ლანშატი თავად შეიძლება ქმნიდეს ბარიერებს ქვეყნის პოლიტიკური და ეროვნული ერთიანობისათვის. მაგალითად არახელსაყრელი მდებარეობის ქვეყნებში სადაც ცენტრალური ნაწილი მთებითაა დანაწვრებული, ხოლო მოსაზღვრე-პერიფერიულ ტერიტორიებზე ვაკეები ან დაბლობებია; დიდია არა მხოლოდ ქვეყნის ფიზიკური უსაფრთხოების რისკი, არამედ ძალზედ სუსტია ეროვნული ერთობის განცდა, რთულია ქვეყნის მართვა, საზღვრებისაკენ ძლიერია ეროვნებათაშორისი კავშირები და შიდა სეპარატიზმის რისკი არსებობს. არახელსაყრელი მდებარეობის ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგალითად პერუ და ესპანეთი.

## რელიგიური დიფუზია

რელიგია არის ადამიანის მიერ აღიარებული ღირებულებათა სისტემა, რომელიც გულისხმობს სიწმინდის, ზებუნებრივი და ღვთიური ძალის რწმენასა და თაყვანისცემას.

რელიგია, როგორც კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი ელემენტი, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით ზუსტად განსაზღვრავს მისი წარმოშობის რეგიონს და იმ კულტურების ღირებულებათა სისტემას, ცხოვრების წესს, საზოგადოებრივ ქცევას და გარემოსთან დამოკიდებულებას, როლებიც ამა თუ იმ კონფესიის მიმდევრები არიან.

რელიგიას სხვა კულტურული ელემენტების მსგავსად; და მეტადაც (მსოფლიო რელიგიები) აქვს გავრცელების უნარი. ხშირ შემთხვევაში, მისი აღიარების გეოგრაფიული არეალი გაცილებით ცდება იმ ადგილს საიდანაც იწებოდა მისი პოპულარიზაცია.

რელიგიას ახასიათებს კულტურული დიფუზიის ორივე სახე – გადაადგილებითი და გაფართოებითი დიფუზია. **გაფართოებითი დიფუზიის** შედეგს წარმოადგენს მსოფლიო რელიგიების (ქრისტიანობა, მუსულმანობა და ბუდიზმი) გავრცელება ძველ სამყაროში (ევრაზიის კონტინენტი), ხოლო **გადაადგილებითი დიფუზიის** მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, პილიგრიმების მეშვეობით, ქრისტიანობის გავრცელება ახალ სამყაროში (ამერიკის და აფრიკის კონტინენტები).

### **გაფართოებითი დიფუზია**

როგორც წინა თევეებში იყო აღნიშნული, გაფართოებით დიფუზიას რამოდენიმე სახე აქვს - მაგ. იერარქიული და გადამდები.

იერარქიული დიფუზიის პირობებში ახალი რწმენის დამკვიდრება, თავდაპირველად სოციალური სტრუქტურის უმაღლეს იერარქიაში ხდებოდა და შემდეგ მოყვებოდა გავრცელება დაბალი ფენებისაკენ. იდეები ნახტომისებურად ვრცელდებოდა - ჯერ დიდ ქალაქებსა და გავლენიან პირებს, ამით გამოტოვებული იყო შედარებით “უმნიშვნელო” პროვინციები თუ სასოფლო დასახლებები, რომელიც მომდევნო ეტაპზე ეზიარებოდა ახალ რწმენას. სწორედ ადრეული ურბანული დასახლებები იყო ქრისტიანობის შემდგომი პოპულარიზაციის ცენტრები წარმართულ პერიფერიებზე. მსგავს მაგალითად გამოდგება მართლმადიდებლობის თავდაპირველი გავრცელება საქართველოში და სამხრეთ ევროპაში. იერარქიული დიფუზიის კვალი ლინგვისტიკაშიც ჩანს. ასე მაგალითად ლათინური სიტყვა - pagus (სასოფლო დასახლება) არის ფუძე მისგან წარმოებული ორი ინგლისური ტერმინისა – peasant (გლეხი) და pagan (წარმართი), ანუ პერიფერია ცრურწმენასთან იყო გაიგივებული.

გადამდები დიფუზიის პირობებში იდეების გავრცელებას საზოგადოებებსა და ტერიტორიაზე მასობრივი, საერთო ხასიათი აქვს. ადამიანებს შორის პერსონალური და ყოველდღიური კონტაქტი აქ ძალზედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს და იერარქიული ფაქტორი უგულობელყოფილია.

“რელიგიური დიფუზიაც, სხვა კულტურული ელემენტების მსგავსად, სუსტდება გავრცელების მანძილის და ისტორიული პერიოდის ზრდის პროპორციულად”<sup>1</sup>. ზოგ შემთხვევაში გარკვეული წინაღობები (ბარიერები) აჩერებს ან ამცირებს რელიგიური იდეების გავრცელების არეალს ან დინამიკას. რწმენა თავად შეიძლება იყოს წინაღობა (ბარიერი) ზოგიერთი ინოვაციის გავრცელებისათვის, მაგალითად რელიგიური ტაბუ საკვებზე. სიგარეტზე, ოჯახის დაგეგმარების პოლიტიკაზე, გართობაზე, ადამიანთა ქცევაზე და ა.შ.

### **გადაადგილებითი დიფუზიის წინაღობები: ჩინეთი და ქრისტიანობა**

ამერიკელი და ევროპელი კათოლიკი და პროტესტანტი მისიონერების მოსახრებით, რომლებმაც ჩინეთში აქტიური მოღვაწეობა XIX საუკუნეში დაიწყეს, ეს საზოგადოება წაბრძოლავდა ნაყოფიერ ნიადაგს ღვთის სიტყვის საქადაგებლად. შესაბამისად, მათ შეაღწიეს იმ კულტურულ რეგიონში, რომელიც ათასწლიან ისტორიას ითვლიდა და რომლის საზოგადოებრივი აზროვნებაც შედარებით გახსნილი იყო ქრისტიანობისათვის. თუმცა მისიონერები გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. პირველი ასეთი პრინციპული დაბრკოლება იყო დაკავშირებული აზრის სწორ და იდეის მნიშვნელობის გადმოცემასთან. სიტყვა “ცოდვა”-ს რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული დოგმატიკის საფუძველს, არ გამოუჩნდა ექვივალენტური შინაარსის ტერმინი ჩინურ ენაში. მრავალი მოსახრება იყო ამ მცნების თარგმნის შესახებ: ცდილობდნენ შეერჩიათ ჩინურ ენაში მიახლოებული კონცეპცია “ცუდი” ან “არა კარგი”, რაც უფრო გულისხმობდა - უღირსს, მდაბიოს. საბოლოოდ მიღებულ იქნა ტერმინი “tsui”, რომელიც პოპულარული ბუდისტური სექტებიდან იყო ნასესხები და შინაარსობრივად “არასწორ საქციელს” გულისხმობდა, ანუ ახალ ბუდისტურ აზროვნებაში, პიროვნულ ფასეულობებში ღირსებებისა და ნაკლების მნიშვნელობას ატარებდა.

რა თქმა უნდა, შერჩეული თარგმანი ვერ გადმოსცემდა დეფინიციის სრულ დატვირთვას, რომელსაც თავად იდეა ატარებდა. მნიშვნელოვანი პრობლემები ჩინურ აზროვნებასა და მსოფმედველობასთანაც იყო დაკავშირებული: კულტურისათვის რომელიც ცდილობდა აეხსნა სამყაროს მოწყობის ჰარმონიული სისტემა და ადამიანის, როგორც ამ სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი (და არა

---

<sup>1</sup> Terry G. Jordan – The Human Mosaic. A thematic Introduction to Cultural Geography, 1982, გვ. 179 – დეფინიცია საკამათოა (ბ.წ.)

დომინანტი) კომპონენტის როლი; რომელიც ფილოსოფიური მიდგომით და შესწავლის გზით გადმოსცემდა აზრს; საკმაოდ რთული და გაუგებარი გახდა ქრისტიანული რელიგიოუს ზოგიერთი დოგმატური საკითხი: სამოთხიდან უფსკრულში დაცემა და უკან დაბრუნების შეუძლებლობა, შემეცნებისა და შესწავლის შედეგად ცოდვის ჩადენა და ღმერთისათვის სრული მინდობა. გაუგებრობები სიმბოლიკასთანაც იყო დაკავშირებული – გველი ქრისტიანებისათვის ბოროტის ნიშანია, მაშინ როდესაც ჩინურ კულტურაში დრაკონების კულტი საკმაოდ პოპულარული და სათაყვანებელია.

სბოლოოდ ჩინეთი ქრისტიანობისათვის არანაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა. XXს. დასაწყისში ხალხის რაღაც ნაწილმა კი მიიღო ქრისტიანობა, ისიც ღარიბი გლეხების ფენამ, რომლებიც უფრო მისიონერებისაგან სურსათით დახმარების სანაცვლოდ იცვლიდნენ რელიგიას, ვიდრე იდეოლოგიური შეხედულებების გადაფასების გამო. ეს ფაქტი ნათლად დადასტურდა მომდევნო პერიოდში, როდესაც ჩინეთი სოციალისტურ ბანაკს შეურთდა, ქრისტიანობის კვალი სწრაფად გაქრა.